

Academia Europaea-ს თბილისის ცენტრის (ჰაბის) 2022 წლის წლიური ანგარიში

წარმოგიდგენთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის თბილისის რეგიონული საგანმანათლებლო ცენტრის (ჰაბის)“ 2022 წელს განხორციელებული პროექტების თაობაზე ანგარიშსა და მომავალი წლის სამოქმედო გეგმას.

ევროპის აკადემიის თბილისის ცენტრის მიზანია მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის ღირებულებებისა და პანევროპული ინტერესების დაცვით, რეგიონში უზრუნველყოს მეცნიერების სხვადასხვა დარგის პოპულარიზაცია და გავრცელება ფართო საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებში. ასევე, ქართული მეცნიერების ევროპულ სამეცნიერო სივრცესთან ინტეგრაციის ხელშეწყობა. სწორედ ამ მიზანდასახულობით ხდება ყველა პროექტისა თუ ღონისძიების ინიცირება და მათი შემდგომი განხორციელება ჰაბის ეგიდით.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად საქმიანობას წარვმართავთ რამდენიმე მიმართულებით:

1. გამორჩეული სემინარების სერია - „გზაჯვარედინები“

„გზაჯვარედინები“ მიზნად ისახავს მეცნიერების სხვადასხვა დარგის პოპულარიზაციას, დროისა და სივრცის ბარიერების მიღმა იდეების გაზიარებას, ასევე სხვადასხვა თაობათა შორის სამეცნიერო თანამშრომლობის ხელშეწყობას. ამ სერიის ფარგლებში ცნობილი მეცნიერები ფართო საზოგადოებას წარმოუდგენენ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ლექციებს მათი დარგის საკვანძო საკითხების შესახებ.

გლობალური პანდემიის პირობების გათვალისწინებით, 2020-2022 წლებში სემინარები ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით ჩატარდა. 2022 წლის იანვარში გამართულ სემინარზე პროფესორმა მარკა დიდებულისძემ („საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის“ პროექტების კოორდინატორი, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის, ძეგლთა დაცვისა და კვლევის ცენტრის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი) წაიკითხა ლექცია „ყინვისის წმ. ნიკოლოზის ტაძრის კედლის მოხატულობა“, სადაც ერთი ტაძრის ფრესკების ანალიზთან ერთად აღწერილი იყო თანადროულ საქართველოში მიმდინარე კულტურული პროცესები.

2. პოპულარული ლექციების სერია

სამეცნიერო კვლევის, ცოდნისა და განათლების ხელშეწყობის მიზნით, თბილისის ჰაბმა საქართველოს ზოგადი და გამოყენებითი მიკრობიოლოგიის ასოციაციასთან თანამშრომლობით, განახორციელა პროექტი: პოპულარული ლექციების სერია „საუბრები მიკრობიოლოგიაზე“. ლექციები განკუთვნილი იყო ძირითადად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის, ასევე, მიკრობიოლოგიით დაინტერესებული პირებისა და ფართო საზოგადოებისთვის. აღნიშნული ლექციების სერიის მიზანი გახლდათ მოსწავლეებში მიკრობიოლოგიისადმი ინტერესის გაღვივება. ლექციების კურსი წაიკითხეს დარგის წამყვანმა მეცნიერებმა სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან და სამეცნიერო ინსტიტუტებიდან:

- დავით ფრანგიშვილი - „მიკრობების უხილავი სამყარო“
- ნატა ბაკურაძე - „ადამიანის მიკრობიომი“
- ნინო გაჩეჩილაძე - „ინფექციური აგენტები, ინფექცია და ინფექციური პროცესი“
- თამარ ცერცვაძე - „იმუნური სისტემა და ვაქცინები“
- ნინო ჭანიშვილი - „ბაქტერიოფაგები და მათი პრაქტიკული გამოყენება“

- გიორგი მელაშვილი - „პარაზიტების გავლენა ადამიანებზე, ცხოველებსა და მცენარეებზე“
- ციცილო სიხარულიძე - „კვებით ჯაჭვში გამოწვეული დაავადებები“
- მიხეილ ასათიანი - „სოკოები ადამიანის სამსახურში: პერსპექტივები და გამოწვევები“
- ადამ კოტორაშვილი - „მიკროორგანიზმების კვლევის თანამედროვე მეთოდები“.

სამეცნიერო ლექციები ჩატარდა 2022 წლის 2 თებერვლიდან 30 მარტის ჩათვლით.

აღსანიშნავია, რომ ლექციებს დიდი გამოხმაურება და ინტერესი მოჰყვა ბიოლოგიის მასწავლებლების მხრიდან, რადგან მათ მიეცათ შესაძლებლობა თავიანთი მოსწავლეებისათვის გაეზიარებინათ დარგში არსებული უახლესი კვლევები.

3. პანელური სესიების სერია

ინტერდისციპლინური და საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, ევროპის აკადემიის თბილისის ჰაბის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა პანელური სესიების სერიას, რომელიც ეძღვნება ისტორიულ და თანამედროვე პერსპექტივაში დემოკრატიზაციის და ევროინტეგრაციის მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხების განხილვას.

3.1. პანელური სესიების სერიის ფაგლებში, პირველი პანელი სახელწოდებით - „*პატარა ქვეყნების გამოწვევები და შესაძლებლობები საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მაგალითზე*“, ჩატარდა მიმდინარე წლის 11 ივლისს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. აღნიშნულ პანელზე ევროპის აკადემიის თბილისის ჰაბის აკადემიური დირექტორის, პროფ. დავით ფრანგიშვილის წარდგინებით მოხსენებები წაიკითხეს:

მიხეილ კეჭაყმაძემ - ოქსფორდის უნივერსიტეტი;

მალხაზ მაცაბერიძე - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

თორნიკე თურმანიძე - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

ირაკლი ხვადაგანი - საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია;

პანელური სესია მოიცავდა საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების, დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობის არასრულ სამწლიან პერიოდს და ამ დროს მიღებულ გამოცდილებას. პანელზე მომხსენებლებმა ისაუბრეს მე-14 საუკუნის შემდგომ პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე, რომლის დამოუკიდებლობაც მაშინ აღიარეს ევროპის წამყვანმა სახელმწიფოებმა. 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ევროპული სახელმწიფოს მშენებლობის თვალსაზრისით მყარი გამოცდილება და პოლიტიკურ ღირებულებათა ჩარჩო დაუტოვა თანამედროვე ქართულ სახელმწიფოს.

3.2. პანელური სესიების სერიის ფარგლებში, ა/წ 26 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა მეორე პანელური სესია სახელწოდებით „*ილია ჭავჭავაძე - წარსული და თანამედროვეობა*“.

პანელურ სესიაზე მომხსენებლებმა განიხილეს დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის, მწერლის, პოლიტიკოსისა და პუბლიცისტის, ილია ჭავჭავაძის როლი მე-19 საუკუნის საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შექმნაში.

პანელი განკუთვნილი იყო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების (საბაზო და საშუალო საფეხურის) მოსწავლეებისა და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის. პანელური სესიის მონაწილეები იყვნენ:

დიმიტრი შველიძე - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

მარიამ ჩხარტიშვილი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის პროფესორი

ირაკლი ჩხეიძე - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კულტურის კვლევების დოქტორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი

მოდერატორი: აკაკი ჩიქობავა - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

4. საერთაშორისო საზაფხულო სკოლა „ტექნოლოგიის მომავალი ლიდერები“

ევროპის აკადემიის თბილისის ჰაბის მიერ ინიცირებული საერთაშორისო საზაფხულო სკოლები თინეიჯერებისთვის, აღმოჩნდა ეფექტური საშუალება საერთო ინტერესების მქონე მონაწილეების მოსაზიდად და საერთაშორისო კონტაქტების დასამყარებლად. განსაკუთრებით წარმატებული გახლდათ ინოვაციების და ტექნოლოგიების ლაბორატორია „ჯეოლაბთან“ თანამშრომლობით ორგანიზებული საზაფხულო სკოლა „ტექნოლოგიის მომავალი ლიდერები“, რომელიც გასულ წელს ქართველი და ევროპელი ბავშვებისთვის ჩატარდა. ხოლო მიმდინარე წელს კი გამოცხადდა სპეციფიურად ქართველი და უკრაინელი ბავშვებისთვის, სახელწოდებით „ტექნოლოგიისა და მშვიდობის მომავალი ლიდერები“. საზაფხულო სკოლის კურსები შემუშავდა გამოცდილი ლექტორების მიერ და თეორიული ცოდნის გარდა, პრაქტიკულ სემინარებსაც მოიცავდა. გარდა ამისა, საერთაშორისო საზაფხულო სკოლამ ქართველ და უკრაინელ ახალგაზრდებს საშუალება მისცა გაეცნოთ ერთმანეთი, გაეზიარებინათ შეხედულებები და კულტურული მრავალფეროვნებები. საერთაშორისო საზაფხულო სკოლა ითვალისწინებდა მოკლევადიან კურსებს ინგლისურ ენაზე შემდეგი მიმართულებით:

- Graphic design - Adobe Photoshop
- Graphic design - Adobe illustrator
- UI/UX design - web design
- UI/UX design - Mobile design
- Unity
- Technical and Creative conceptualisation
- STEM activities using microcontroller
- Front end web development HTML, CSS

აღნიშნული კურსი ორიენტირებული გახლდათ შედეგზე, რაც თავის მხრივ გულისხმობს თანამედროვე ტექნოლოგიების მიმართულებით ცოდნის კონსტრუირებას და მონაწილეთათვის ქმედითი, დინამიური და ფუნქციური ცოდნის გადაცემას.

5. პროექტი გელათის აკადემიის შესახებ

2020 წელს ევროპის აკადემიის თბილისის ჰაბის ინიციატივით დაიწყო პროექტი „გელათის აკადემია - მეცნიერებისა და განთლების უძველესი კერა ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის“. პროექტის მთავარი მიზანია გააცნოს ფართო საერთაშორისო საზოგადოებას გელათის აკადემია, როგორც ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრი.

პროექტში მონაწილეობას იღებენ შემდეგი სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

- ✓ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ)
- ✓ თსუ ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრი
- ✓ თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
- ✓ კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
- ✓ გელათის მეცნიერებათა აკადემია
- ✓ საქართველოს ეროვნული მუზეუმი
- ✓ ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი
- ✓ გ. ჩუბინაშვილი სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი
- ✓ ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილის სახელმწიფო კონსერვატორია
- ✓ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ქუთაისის ისტორიულ-არქეოლოგიური ნაკრძალის მმართველობა.

პროექტის ფარგლებში დაიგეგმა გელათის და გელათის აკადემიის შესახებ ორენოვანი, ქართული და ინგლისურენოვანი „სამაგიდო წიგნის“ გამოცემა. წიგნი მიზნად ისახავს თავი მოუყაროს გელათის და გელათის აკადემიის შესახებ დღემდე სხვადასხვა მიმართულებით წარმოებულ სამეცნიერო კვლევებს და ამ მასალის შეჯამებისა და კომპლექსური ანალიზის საფუძველზე წარმოაჩინოს გელათის აკადემიის მნიშვნელობა შუა საუკუნეების აღმოსავლური ქრისტიანული სამყაროს კულტურული ცხოვრების, ხელოვნებისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარების ისტორიისათვის. აღნიშნული წიგნისათვის უკვე მომზადებულია შემდეგი თავები: „ქართველი ბაგრატიონები - ახალი კონსტანტინენი“ (გიორგი ჭეიშვილი); „გელათის ნართექსის მოხატულობა“ (ეკატერინე გედევანიშვილი); „გელათის სამწიგნობრო ცენტრში შექმნილი ხელნაწერები“ (თამარ ოთხმეზური); „სამუსიკო განათლება გელათში“ (მაგდა სუხიაშვილი).

პროექტის ფარგლებში 2022 წლის 4-5 ოქტომბერს ევროპის აკადემიის თბილისის ჰაბმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად გამართა ჰაბის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებული სხდომა გელათში, ქუთაისსა და ვანში.

ღონისძიების პირველი დღე მიეძღვნა გელათის აკადემიას. აკადემიკოს ზაზა სხირტლაძის ხელმძღვანელობით, მონაწილეებმა დაათვალიერეს გელათის სამონასტრო კომპლექსი. შემდგომ კი ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში პროფესორმა ლევან გიგინეიშვილმა წაიკითხა ლექცია გელათის აკადემიის შესახებ. ლექცია შეეხებოდა გელათის აკადემიის, როგორც თავისი დროის ქრისტიანული აღმოსავლეთის ერთ-ერთი საუკეთესო, თამამი და ფართო აზროვნების საღვთისმეტყველო-სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრის მნიშვნელობას და მის როლს ევროპული ადრეული რენესანსის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ლევან გიგინეიშვილმა ასევე ისაუბრა იოანე პეტრიწის მიერ ფილოსოფიური და ბიბლიური ტრადიციების გაერთიანების მცდელობაზე, რაც ძალიან საინტერესო და ამავე დროს, გაბედული პროექტი იყო თავისი დროისათვის.

ლექციის შემდეგ შეხვედრის მონაწილეებმა ისაუბრეს გელათის სულიერი და მატერიალური მემკვიდრეობის დაცვის და ევროპულ აკადემიურ სივრცეში წარმოჩენის გზებზე.

6. ევროპის აკადემიის თბილისის ჰაბის სამეცნიერო საბჭოს სხდომა

ევროპის აკადემიის თბილისის ჰაბის სამეცნიერო საბჭოს სხდომა ჩატარდა ა/წ 5 ოქტომბერს ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში. სხდომაში მონაწილეობდნენ სამეცნიერო საბჭოს და გელათის აკადემიასთან დაკავშირებული პროექტის საინიციატივო ჯგუფის წევრები. მონაწილეთა შორის

იყვნენ *Academia Europaea*-ს საპატიო პრეზიდენტი სირდ ქლოთინგი და ევროპის კვლევითი საბჭოს საპატიო ვიცე-პრეზიდენტი ევა კონდოროსი.

მონაწილეებმა იმსჯელეს თბილისის ჰაბის მიმდინარე პროექტებისა და სამომავლო გეგმების შესახებ. სამეცნიერო საბჭოს წევრებმა წამოაყენეს რამდენიმე პროექტის იდეა: ა) პროფ. ქეთი ჭანტურას თაოსნობით გამოიკვეთა ERC-ის Advanced გრანტზე განაცხადის მომზადების შესაძლებლობა და ახალგაზრდა მკვლევარის წარდგენა ERC-ის Starting გრანტზე; ბ) ზაზა სხირტლადის თაოსნობით დაიგეგმა მონაწილეობა COST Action-ში პროექტით „საფასადო მოხატულობები და ქრისტიანული მოძღვრების გავრცელების გზები“ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ექსპერტების მონაწილეობით. გ) ასევე განიხილეს თანამშრომლობის შესაძლებლობები უნგრელ კოლეგებთან სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში, კერძოდ, „მცენარეთა პათოგენების ინფიცირებული ბაქტერიოფაგების ექსპლუატაცია მცენარეთა დაავადებებთან საბრძოლველად“. ბუდაპეშტისა და თბილისის ჰაბებს შორის მომავალი კოლაბორაცია ასევე მოიცავს ახალი ტიპის ანტიმიკრობული ნაერთების ძიებას.

საბჭოს სხდომის შემდეგ მონაწილეებმა აკადემიკოს დავით ლორთქიფანიძის მეგზურობით დაათვალიერეს ვანის არქეოლოგიური მუზეუმის გამოფენა. ექსკურსიის შემდეგ აკადემიკოსმა დავით ლორთქიფანიძემ წაიკითხა მოხსენება იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინსტალაციების გამოყენება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კვლევისას ვანის ნაქალაქარის უნიკალური ექსპონატების მაგალითზე. მან ასევე ისაუბრა ვანის არქეოლოგიურ მუზეუმზე, რომელიც არის კავკასიის რეგიონში ერთ-ერთი პირველი მუზეუმი ნაქალაქარზე და რომელსაც აქვს მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა. მოხსენების შემდეგ მონაწილეებმა ისაუბრეს ლექციაში წამოჭრილი საკითხების შესახებ.

ორდღიანი შეხვედრის ბოლოს გაიმართა შემაჯამებელი მსჯელობა. მონაწილეებმა კიდევ ერთხელ მიმოიხილეს ამ შეხვედრაზე განხილული თემები, შემოთავაზებული იდეები, დასახეს მომავალი ერთობლივი მუშაობის პერსპექტივები, რათა ქართული მეცნიერება უფრო ფართოდ წარმოჩნდეს ევროპულ სამეცნიერო სივრცეში.

7. საერთაშორისო სემინარი „ხარისხის შიდა უზრუნველყოფა: პერსპექტივები და გამოწვევები“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში *Academia Europaea*-ს ფინანსური მხარდაჭერით 2022 წლის 10, 11 და 12 ოქტომბერს ჩატარდა საერთაშორისო სემინარი "ხარისხის შიდა უზრუნველყოფა: პერსპექტივები და გამოწვევები". ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინისა და ირლანდიის უნივერსიტეტების, ასევე, საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები. სემინარზე განიხილეს ირლანდიის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მოდელი, სადოქტორო განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და ონლაინ სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხები. *Academia Europaea*-მ, რომელიც აერთიანებს 4500-ზე მეტ მეცნიერს და მკვლევარს ევროპიდან და მის ფარგლებს გარეთ, გამოხატა სოლიდარობა უკრაინელი ხალხის მიმართ მიმდინარე საომარ მოქმედებებთან დაკავშირებით. როგორც ერთიანობის ჟესტი, აკადემიის სამეურვეო საბჭომ გადაწყვიტა გამოეყო ფინანსური რესურსი *Hubert Curien Initiative Fund*-დან თბილისის, ბუდაპეშტის და ვროცლავის ჰაბებისთვის. ევროპის აკადემიის თბილისის ჰაბმა, როგორც თსუ-ს სტრუქტურულმა ერთეულმა, საერთაშორისო სემინარში მონაწილე უკრაინული უნივერსიტეტების წარმომადგენელთა ხარჯები უზრუნველყო.

Academia Europaea-ს ბარსელონას ჰაბის მასპინძლობით, ქ. ბარსელონაში (ესპანეთის სამეფო), ბიომედიცინის კვლევის ცენტრში (PRBB), 2022 წ. 25-27 ოქომბერს ჩატარდა *Academia Europaea*-ს (*AE*) 33-ე ყოველწლიური კონფერენცია (Building Bridges 2022), მის სამეცნიერო ქსელში შემავალი ჰაბების ყოველწლიური გენერალური სხდომა და ევროპის აკადემიის ახალგაზრდული ფრთის მე-11 კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თბილისის ჰაბის წარმომადგენლობამ. ევროპის აკადემიის ყოველწლიურ კონფერენციასა და ამ კონფერენციის ფარგლებში ჩატარებულ გენერალურ სხდომაში მონაწილეობის მიღება მიზნად ისახავდა ერთი მხრივ, თბილისის ჰაბის მიერ 2021-2022 წწ. მანძილზე შესრულებული სამუშაოების შეჯამებას/სამომავლო გეგმების წარდგენას, ხოლო მეორე მხრივ, კი გამოცდილების გაზიარებას და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივების დასახვას.